დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 სექტემბრის №ძ28 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 20 იანვრის №ძ 8 ბრძანებით, 2023 წლის 6 იანვრის №ძ 10 ბრძანებითა და 2025 წლის 14 მარტის №ძ 48 ბრძანებით

შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები

2020 წელი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი 3

მუხლი 2. მხარდაჭერის გავრცელების სფერო 3

მუხლი 3. ფინანსური შეღავათით სარგებლობის შესაძებლობა და ოდენობა 3

მუხლი 4. ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად უნივერსიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტები 4

მუხლი 5. დაფინანსების წესი 4

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები 5

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად განისაზღვრება შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მექანიზმები.
2. უნივერსიტეტის მიზანია საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ამ დოკუმენტით განსაზღვრული ჯგუფების წარმომადგენლები უზრუნველყოს მხარდაჭერის შესაბამისი მექანიზმებით.

მუხლი 2. მხარდაჭერის გავრცელების სფერო

1. ფინანსური შეღავათები ვრცელდება შემდეგ პირებზე:
ა)სოციალურად დაუცველ პირებზე, რომლებსაც სახელმწიფოს მხრიდან არ დაუფინანსდებათ სწავლის საფასური;
ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრებზე;
გ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული ერთი ოჯახის ორ ან მეტ წევრზე;
დ) ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრში ჩარიცხულ ბენეფიციარზე, ან ბენეფიციარზე რომელმაც თავშესაფარი დატოვა ბოლო 6 (ექვსი) თვის მანძილზე;
2. იმ სტუდენტმა, რომელიც განეკუთვნება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, შესაძლებელია მოიპოვოს მოწყვლადი ჯგუფებისთვის გათვალისწინებული ფინანსური შეღავათი.

მუხლი 3. ფინანსური შეღავათით სარგებლობის შესაძებლობა და ოდენობა

1.მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით ფინანსური შეღავათით - სწავლის საფასურის 20 %-იანი დაფინანსებით ისარგებლებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული სტუდენტი, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე, თუ ის ვერ მოიპოვებს სახლმწიფოს მიერ სწავლის საფასურის დაფინანსებას;

2. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით უნივერსიტეტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 2020 წლის 17 აგვისტოს გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული შეთავაზების ფარგლებში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის (სამხედრო მოსამახურე ან სამხედრო მოსამსახურის ოჯახი წევრი (მეუღლე, შვილი) მიერ გადასახდელი სწავლის საფასურის 20 %-ის დაფინანსებას.

4. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით ფინანსური შეღავათით - სწავლის საფასურის თითოეულ პირზე 10 %-იანი დაფინანსებით ისარგებლებს

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული ერთი ოჯახის ორი ან მეტი წევრი;

5. მე-2 მუხლის პირველი პუქნტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით ფინანსური შეღავათით - სწავლის საფასურის 20 %-იანი დაფინანსებით ისარგებლებს სტუდენტი, რომელიც არის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციარი, ან რომელმაც თავშესაფარი დატოვა ბოლო 6 (ექვსი) თვის მანძილზე;

3. გარდა სწავლის საფასურის 20% - იანი შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობისა, სტუდენტის მიერ წერილობითი განცხადებით მომართვის შემთხვევაში, უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს სტუდენტს ისარგებლოს სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკით.

მუხლი 4. ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად უნივერსიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტები

1. ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ფინანსური შეღავათით სარგებლობის მიზნით, ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად რექტორის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება სტუდენტთა განცხადებების წარმოდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები.ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლებამოსილების მქონე პირი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს ფინანსური შეღავათის გამოყენების თაობაზე. განცხადებას დანართის სახით უნდა დაერთოს, შემდეგი დოკუმენეტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) სოციალურად დაუცველი პირების შემთხვევაში - სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობა, ან ამონაწერი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის თაობაზე;

გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სტუდენტის, ან ოჯახის წევრის მუშაობის დამადასტურებელი ცნობა, ან ნათესავური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დ) ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 5. დაფინანსების წესი

1. უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია განიხილავს სტუდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და ადგენს შესაბამისობას ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდეს:

ა) სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსი;
ბ)ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - ფაკულტეტის/ფაკულტეტების დეკანი/დეკანები;

გ) იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი;
დ) ფინანსური სამსახურის წარმომადგენელი.

2. რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში კომისია განიხილავს სტუდენტთა განაცხადებს და რექტორს წარუდგენს დაფინანსების უფლების მქონე კანდიდატებს.ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლების მინიჭება ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე. ბრძანება გამოიცემა დაწესებულების პრეზიდენტთნ შეთანხმებით.2. თუ, ვერ იქნა დადგენილი წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ამ წესით განსაზღვრული პირობების შესაბამისობა, აღნიშნულის შესახებ სტუდენტს ეცნობება წერილობითი სახით.

3. დაფინანსების/არ დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სტუდენტის მიერ განცხადებით მომართვიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

4. ყოველი აკადემიური სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტი, სტუდენტს მოსთხოვოს განახლებული დოკუმენტის წარმოდგენას, რომლითაც დასტურდება პირის მოწყვლადი ჯგუფისადმი კუთვნილება. სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ასეთი სახის დოკუმენტი.

5. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ/ვერ წარმოადგენს ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ დოკუმენტს ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით აღარ იკვეთება მოწყვლადი ჯგუფისადმი კუთვნილება, უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შეუწყვიტოს ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლება.

6. ამ დებულების მე-3 მუხლში მითითებული ფინანსური შეღავათებიდან სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ერთი ფინანსური შეღავათით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.

2.წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების, დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.